

# ბაზელ ერთიდან ბაზელ II/III-ზე გადასვლა ქართულ საბანკო სივრცეში

თინათინ ქაჩლიშვილი  
გიგა შაველაშვილი  
კონსტანტინე ხეცურიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს  
სკოლაში საბანკო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისაკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*  
სამაგისტრო პროგრამა: (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე (მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	3
ძირითადი ნაწილი: საბანკო სისტემაში ბაზელის სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენება...	4
<i>ბაზელ I</i> .....	6
<i>ბაზელ II</i> .....	15
პირველი კომპონენტი - მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები .....	16
საკრედიტო რისკი.....	16
საოპერაციო რისკი .....	19
საბაზრო რისკი.....	20
<i>ბაზელ III</i> .....	22
კაპიტალის მოთხოვნები.....	22
ლევერიჯის კოეფიციენტი.....	23
ლიკვიდობის მოთხოვნები.....	23
<i>ბაზელ III-ის დანერგვის ეტაპები</i> .....	29
შედეგები: ბაზელის სტანდარტების იმპლემენტაცია საქართველოს საბანკო სექტორში .....	31
შედეგების განხილვა: ბაზელ I –დან ბაზელ I I- IIIზე გადასვლა ქართულ საბანკო სივრცეში.	51
დასკვნა .....	66
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი .....	68

## აბსტრაქტი

ფინანსური კრიზისები მსოფლიოში საკმაოდ ხშირად ხდება, რის მიმართაც განსაკუთრებით მოწვევლია საბანკო სისტემა. ამიტომ კომერციული ბანკისთვის საერთაშორისო სტანდარტებით რისკების მართვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ნაშრომის მიზანია საბანკო რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესება და სრულყოფა აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებით. ამ თვალსაზრისით ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რისკების მართვის სტანდარტების – ბაზელის შეთანხმების შესახებ, რომელიც ფაქტობრივად, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კომერციული ბანკის მუშა დოკუმენტია, როგორც თეორიული ინფორმაცია, ასევე ქართულ საბანკო სივრცეში ბაზელ ერთიდან ბაზელ II/III-ზე გადასვლის პრობლემები, პროცედურები, ფორმალიზებული ანალიზი და დანერგვის საკითხები. გამოყენებულ იქნა ბაზელის სტანდარტების ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები, საქართველოს საბანკო სისტემაში მოღვაწე კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიშები, სხვადასხვა თეორიული მასალა საბანკო რისკების მართვის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ბაზელ ერთიდან ბაზელ II/III-ზე გადასვლის პერიოდის განხილვა, რადგან შედეგად ქვეყნის რეპუტაცია საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად ამაღლდება და ქვეყნის პროფილი საერთაშორისო დონეზე სოლიდურად წარსდგება იმ კუთხით, რომ განვითარებადმა ქვეყანამ შეძლო ასეთი რთული პროცესის განხორციელება.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** რისკების მართვა, ბაზელის შეთანხმება, კაპიტალის ადეკვატურობა, ფინანსური სტაბილურობა.